

ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის 12 თვის შესრულების ანგარიში

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც აუცილებელი წინა პირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის განვითარება.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის სტრატეგია მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვასა და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

2017 წლის 12 თვის შესრულების მოკლე მიმოხილვა

2017 წლის ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების 12 თვის გეგმა შეადგენდა 9990,4 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 10287,7 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 103,0%-ით. ბიუჯეტის 12 თვის გეგმა გადასახდელების ნაწილში შეადგენდა 11326,2 ათას ლარს, ფაქტიურად გახარჯულია 8343,4 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 73,7%-ით. არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 2643,8 ათასი ლარი. კლებამ 39,4 ათასი ლარი. ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 1426,3 ათას ლარს. 12 თვის განმავლობაში ნაშთი გაიზარდა 1944,3 ათასი ლარით და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 3370,6 ათასი ლარი.

ცალკეული სახეობების მიხედვით შემოსავლების გეგმა შესრულებულია შემდეგნაირად:

ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული საშემოსავლო გადასახადის წლიური გეგმა შეადგენდა 350,0 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 283,8 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 81,1%-ით.

საწარმოთა ქონების გადასახადის წლიური დამტკიცებული გეგმა შეადგენს 1383,3 ათასი ლარს. ფაქტიურად შემოსულია 2018,3 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 145,9%-ით. შემოსულია აგრეთვე ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 3,9 ათასი ლარის ოდენობით. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა შეადგენდა 3,6 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 8,1 ათასი ლარი. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის 12 თვის გეგმა შეადგენდა 401,6 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 334,4 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 83,3%-ით.

სხვა შემოსავლები წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 1076,8 ათასი ლარი. ფაქტიურად შემოსულია 892,4 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 82,9%--ით. აქედან, შემოსავალი საკუთრებიდან გეგმით გათვალისწინებული იყო 854,8 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 700,2 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 81,9%-ით. მ.შ. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი გეგმით გათვალისწინებული იყო 780,0 ათასი ლარი. ფაქტიურად შემოსულია 623,9 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 80,0%-ით. შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა, ფაქტიურად შემოსულია 5,7 ათასი ლარი.

ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 23,0 ათასი ლარი, შემოსულია 24,8 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 107,8 %-ით.

დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტის წლიური გეგმა შეადგენდა 74,8 ათას ლარს. ფაქტიურად შემოსულია 76,3 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 102,0%-ით.

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურების წლიური გეგმა შეადგენდა 30,0 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 28,1 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 93,7%-ით. მათ შორის შენობა-ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი შეადგენდა 5,2 ათას ლარს, ხოლო მანქანა-დანადგარების და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 22,9 ათასი ლარი.

ჯარიმებითა და სანქციებით მიღებული შემოსავალი წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 100,0 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 73,0 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 73,0%-ით.

შემოსავალი შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 25,5 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 22,4 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 87,8%-ით. ნებაყოფილობითი ტრანსფერის წლიური გეგმა შეადგენდა 7,5 ათას ლარს. მიღებულია სრულად.

არაფინანსური აქტივების კლების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 60,0 ათას ლარს. ფაქტიურად შემოსულია 39,4 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 65,7 %-ით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერის წლიური გეგმა შეადგენდა 6715,1 ათას ლარს. მიღებულია 6707,4 ათასი ლარი. მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი მიღებულია 2527,8 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 148,6 ათას ლარი. (დამატებული 1,4 ათასი ლარი, გასული წლის მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთი, რომელიც ექვემდებარებოდა დაბრუნებას ხაზინაში ჩაგვეთვალა ტრანსფერში). საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მისარები ტრანსფერის გეგმა შეადგენდა 4037,3 ათას ლარს, მიღებულია 4031,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 99,8 %-ია.

ნაშთი 2017 წლის 1 იანვარის მდგომარეობით შეადგენდა 1426,3 ათას ლარს. წლის განმავლობაში ფინანსური აქტივები გაიზარდა 1944,3 ათასი ლარით და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 3370,6 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის 2017 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა გადასახდელების ნაწილში შეადგენდა 11326,2 ათას ლარს. ფაქტიურად გახარჯულია 8343,4 ათასი ლარი. გეგმა შესრულებული 73,7%-ით. ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გადასახდელების წლიური შესრულება შემდეგნაირია:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 1924,2 ათასი ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 1711,1 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 88,9%-ით. მათ შორის წარმომადგენლობითი ორგანოს ხარჯების დასაფინანსებლად გეგმით გათვალისწინებული იყო 371,1 ათასი ლარი, გახარჯულია 368,1 ათასი ლარი. აღმასრულებელი ორგანოს ხარჯების დასაფინანსებლად გეგმით გათვალისწინებული იყო 1549,8 ათასი ლარი, გახარჯულია 1343,0 ათასი ლარი. მათ შორის 3,1 ათასი ლარი გახარჯულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის N2522 განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთიდან. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა სტიქიით დაზიანებული ორპირისა და ცუცხვათის ადმინისტრაციული შენობის სახურავს. არაფინანსური აქტივების მუხლიდან იქნა შეძენილი აგრეთვე ელექტრონული ტაბელი(აღრიცხვის სისტემა) და გაიხარჯა 1,6 ათასი ლარი. მემახტეთა შრომის დიდების მემორიალის საპროექტო-საინჟინრო მომსახურებისათვის გახარჯულია 1,2 ათასი ლარი, ხოლო გამგეობის ადმინისტრაციული შენობის სახურავის საპროექტო სამუშაოებისათვის 0,3 ათასი ლარი. 0,4 ათასი ლარით შეძენილი იქნა სოფ. გელათისათვის წყლის მიღები.

ნებაყოფილობითი ტრანსფერთა და მუნიციპალიტეტის გამგეობის თანადაფინანსებით სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა უფასო სასადილოს რამდენიმე ოთახს და გაიხარჯა 4,3 ათასი ლარი. შეძენილია ორი ერთეული სარეცხი მანქანა თანხით 1,5 ათასი ლარი და ერთი ერთეული საშრობი- თანხით 0,9 ათასი ლარი . უფასო სასადილოსათვის

შეძენილია იქნა გაზქურა თანხით 1,1 ათასი ლარი. 36,0 ათასი ლარით შეძენილია 10 ერთეული ვიდეომეთვალყურეობის კამერა.

ფულადი ჯილდოები გადაეცათ წარმატებულ მწვრთნელს იუზა დოლიძეს 1,0 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს სასკოლო ჩემპიონატის გამარჯვებულ დავით ცქიფურიშვილს 0,5 ათასი ლარის ოდენობით, ინტელექტუალურ თამაშებში გამარჯვებულ თამარ ზარნაძეს და ლაშა მესხორაძეს 0,3 ათასი ლარის ოდენობით. წარმატებულ სპორტსმენს ილია სულამანიძეს გადაეცა ფულადი ჯილდო 0,7 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო მწვრთნელს 0,3 ათასი ლარის ოდენობით. ფულადი ჯილდო გადაეცა 24 წარჩინებულ მოსწავლეს, თითოეულს 100 ლარის ოდენობით. 3200 ლარი გაიხარჯა წარჩინებული სპორტსმენებისათვის ფულადი ჯილდოს გადაცემის მიზნით. 500-500 ლარის ფულადი ჯილდო გადაეცა დამსახურებულ პედაგოგს მურმანი მურუსიძესა და დამსახურებულ მემანტეს სოსიკო ქიმუცაძეს. ფულადი ჯილდოები გადაეცათ ვეფხისტყაოსნის ზეპირად მთქმელებს ანრო ცირეკიძეს (300 ლარი) და ნათელა დოლონაძეს (200ლარი). 8,3 ათასი ლარით შეძენილი იქნა საახალწლო სასაჩუქრე პაკეტები. 4,7 ათასი ლარი გაიხარჯა საახალწლო გასანათებელი მოწყობილობების შეძენის მიზნით.

ვეტერანებისათვის 9 მაისის ღონისძიებასთან დაკავშირებით შეძენილი იქნა 0,5 ათასი ლარის საჩუქრები. თეატრალური ფესტივალი „იმერეთი 2017“-ის საორგანიზაციო უზრუნველყოფისათვის გადარიცხულია 3,0 ათასი ლარი, მუსიკალური ფესტივალი „იმერეთის ხმა-2017“-ის საორგანიზაციო უზრუნველყოფისათვის კი 1,5 ათასი ლარი.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მუნიციპალიტეტში ხორციელდება პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, წვევამდელთა და სამხედრო სარეზერვო სამსახურისათვის პიროვნებების გაწვევის უზრუნველყოფა და შესაბამის სტრუქტურებში მათი ტრანსპორტირება. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წლიური გეგმით გეგმით გათვალისწინებული იყო 85,0 ათასი ლარი, ფაქტიურად გახარჯულია 78,4 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 92,2%-ით. ხარჯვა განხორციელდა მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და შემდგომი გაუმჯობესება. ასევე საქალაქო ტრანსპორტის ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები. საქალაქო ტრანსპორტის სუბსიდირებისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებულია 266,8 ათასი ლარი. გახარჯულია 266,6 ათასი ლარი, გეგმა შესრულებულია 99,9%-ით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური შიდა გზების მოვლა-შენახვისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 3307,8 ათასი ლარი. გახარჯულია 1701,3 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 51,4%-ით. მათ შორის 133,3 ათასი ლარი გახარჯულია 2016 წლის 04 თებერვლის N175 განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთიდან კურსების (49,5 ათასი ლარი), ნაბოსლევის (25,3 ათასი ლარი), წყნორის (21,7 ათასი ლარი), ოჯოლა-ჯვარისის (21,7ათასი ლარი) და გურნის (15,1ათასი ლარი) შიდა გზების ბეტონის საფარით მოწყობის მიზნით.

2017 წლის 06 ივლისის N1401 განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერიდან გახარჯულია 291,1 ათასი ლარი, ჭელიშვილის ქუჩის (25,0 ათასი ლარი), ჭელიშვილის I-ლი შესახვევის (27,1 ათასი ლარი), თაბუკაშვილის ქუჩის (7.0 ათასი ლარი), ლესელიძის ქუჩის (16.0 ათასი ლარი), ლესელიძის მე-2 შესახვევის (32,0 ათასი ლარი), დუმბაძის ქუჩის (21.0 ათასი ლარი), იმერეთის ქუჩის (11,5 ათასი ლარი), იმერეთის I-შესახვევის (16,0 ათასი ლარი), ბერეკაშვილის ქუჩის (20,0ათასი ლარი), შაორის მიმდებარე ტერიტორია (20,0 ათასი ლარი), ჭავჭავაძის ქუჩის (20,0 ათასი ლარი), სვანეთის ქუჩის (17,0 ათასი ლარი), სააკაძის პირველი შესახვევს 4,0 ათასი ლარი), რაჭის ქუჩის (12,0 ათასი ლარი), ფორჩხიძის ქუჩის (29,9 ათასი ლარი) და ნინოშვილის ქუჩის (12,0 ათასი ლარი) ბეტონის საფარით მოწყობის მიზნით.

სპეციალური ტრანსფერის ვალდებულების კლების მუხლიდან, ტყიბული-მუხურის გზის ბეტონის საფარით მოწყობის მიზნით გახარჯულია 12,3 ათასი ლარი.

მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერიდან გახარჯულია 1074,2 ათასი ლარი ციხის (57,5 ათასი ლარი), გურნის (40,6 ათასი ლარი), ოჯოლის (134,4 ათასი ლარი), სოჩხეთის (97,1 ათასი ლარი), საწირე-ცუცხვათის (220,7 ათასი ლარი), მუხურის (14,5 ათასი ლარი), ორპირის (17,2 ათასი ლარი), კურსების (33,2 ათასი ლარი), ნაბოსლევის (12,1 ათასი ლარი), ძუყნურის (78,6 ათასი ლარი), საწირის (78,4 ათასი ლარი), ცუცხვათის (64,2 ათასი ლარი), სოლომონ მე-2 პირველი შესახვევი (34,9 ათასი ლარი), ჯავახიშვილის ქუჩა (40,1 ათასი ლარი), ცქიფურიშვილი-მაწკეპლადის ქუჩა (56,9 ათასი ლარი), თაბუკაშვილის ქუჩა (88,9 ათასი ლარი) შიდა საუბნო გზების ბეტონის საფარით მოწყობის მიზნით. 4,6 ათასი ლარი გადაერიცხა საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს, შესრულებული სამუშაოების მონიტორინგისათვის.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აგვისტოს N1795 განკარგულებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტს მიეცა უფლება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული 2014-2015-2016 წლების განკარგულებებიდან, თავისუფალი ნაშთი 30,3 ათასი ლარი, მიმართული იქნას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის. აღნიშნული თანხიდან ამ მიზნით 2017 წლის განმავლობაში გაიხარჯა 27,0 ათასი ლარი.

საკუთარი შემოსავლებიდან ამავე გზების აღდგენა-რეაბილიტაციის მიზნით თანადაფინანსების სახით გაიხარჯა 95,8 ათასი ლარი. 18,2 ათასი ლარი გაიხარჯა სოფელ დაბადველში, ქარქაშაძეების უბანში ბოგირის აღსადგენად და 37,1 ათასი ლარი ტყიბულში, ჯავახიშვილის ქუჩაზე ხიდის აღდგენითი სამუშაოებისათვის.

ყოველივე ამის შედეგად შესაძლებელი გახდა მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება, გამართულად მუშაობს შიდა სამგზავრო ტრანსპორტი. გაიხარდა რეაბილიტირებული გზების სიგრძე, ავტომობილების მოძრაობის ნაკადი და მგზავრთა ნაკადის მოცულობა.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ნორმალური სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. ქალაქის ქუჩების სისტემატური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, რაც გააუმჯობესებს ქალაქის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 354,5 ათასი ლარი. გახარჯულია 336,0 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 94,8%-ით.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარების ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ნაგებობების მოვლა-შენახვა. გზებისა და ხიდების, გარე განათებების, ტროტუარების მოაჯირების, სანიაღვრე არხების, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია, საცხოვრებელი სახლების ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობების დახმარება. ამ პროგრამების განსახორციელებლად დაზუსტებული ბიუჯეტის წლიური გეგმით გეგმით გათვალისწინებული იყო 2192 ათასი ლარი. გახარჯულია 1339,5 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 61,1%-ით. მათ შორის კომუნალური მეურნეობის განვითარების სუბსიდირებისათვის გახარჯულია 263,3 ათასი ლარი, გარე განათების არსებული ქსელის ელექტროენერჯის საფასურის დასაფარად 76,7 ათასი ლარი.

ა(ა)იპ რეგიონალური ინიციატივების ცენტრის „ნათელი მომავლის“ მიერ მოწამეთის სამონასტრო კომპლექსის მისასვლელ გზაზე მოეწყო გარე განათება და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა. ამ პროექტის თანადაფინანსების მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი და გახარჯული იქნა 5,3 ათასი ლარი.

ბინათმშენებლობის მოვლა-შენახვის მიზნით გეგმით გათვალისწინებული იყო 1136,9 ათასი ლარი, გახარჯულია 505,9 ათასი ლარი. მათ შორის 82,4 ათასი ლარი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 07 ივლისის N1340 განკარგულებიან. აღნიშნული თანხით გადაიხურა და სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს: გამსახურდიას ქ. N1 (2,8 ათასი ლარი), გორგაძის ქ. N5 (17,3 ათასი ლარი), ბრეგვაძის ქ. N1 (2,7 ათასი ლარი), გამსახურდიას ქ. N36 (1,9 ათასი ლარი), ჯალალანიას ქ. N4 (12,8 ათასი ლარი), გელათის ქ. N8

(10,2 ათასი ლარი), ახოზაძის ქ N3 (10,5 ათასი ლარი), გორგასლის ქ. N10 (12,2 ათასი ლარი) დუმბაძის ქ. N9(9,5 ათასი ლარი).

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 დეკემბრის N2522 განკარგულებიდან, მრავალბინიანი კორპუსების სახურავების შესაკეთებელი მასალის შესაძენად გახარჯულია 10,0 ათასი ლარი. მასალა შეძენილია კოსტავას ქ N10, კოსტავას ქ N7, რუსთაველის ქ N4, გელათის ქ N20, გამსახურდიას ქ N30, ჯალაღანიას ქ N12, ბრეგვაძის ქ N4, ვაჟა-ფსაველას ქ N2 და რობაქიძის ქ N4 საცხოვრებელი ბინის სახურავებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებიდან, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების მოსაწყობად გახარჯულია 128,3 ათასი ლარი. მათ შორის გამსახურდიას ქუჩა N36 (26,7 ათასი ლარი), თაბუკაშვილის ქუჩა N14 და N16 (31,0 ათასი ლარი), გამსახურდიას ქუჩა N34 (25,9 ათასი ლარი) და თაბუკაშვილის ქუჩა N38 (44,8 ათასი ლარი).

ამავე განკარგულებიდან გამოყოფილი ტრანსფერით განხორციელდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ლიფტების რეაბილიტაცია და გაიხარჯა 112,7 ათასი ლარი. მათ შორის ახოზაძის ქუჩა N1 (II სადარბაზო-17,7 ათასი ლარი), ახოზაძის ქუჩა N1 (III სადარბაზო-17,0 ათასი ლარი), თაბუკაშვილის ქუჩა N14 (III სადარბაზო-14,9 ათასი ლარი), თაბუკაშვილის ქუჩა N38 (III სადარბაზო-14,8 ათასი ლარი), თბილისის ქუჩა N4 (I სადარბაზო-14,3 ათასი ლარი), თბილისის ქუჩა N4 (IV სადარბაზო-14,7 ათასი ლარი), ტყვარჩელის ქუჩა N26 (16,1 ათასი ლარი). ლიფტების რეაბილიტაციისათვის თანადაფინანსების სახით ადგილობრივი შემოსავლებიდან გახარჯულია 9,7 ათასი ლარი. საზედამხედველო სამუშაოებისათვის გაიხარჯა 1,2 ათასი ლარი N480 განკარგულებიდან და 0,6 ათასი ლარი ადგილობრივი შემოსავლებიდან.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის N1213 განკარგულებიდან საცხოვრებელი ბინების სახურავების რეაბილიტაციაზე გახარჯულია 30,8 ათასი ლარი. მათ შორის ჯალაღანიას ქუჩა N9 (11,6 ათასი ლარი), ჯალაღანიას ქუჩა N10 (2,5 ათასი ლარი), ჯალაღანიას ქუჩა N12 (5,2 ათასი ლარი), კუპრაშვილის ქუჩა N5 (5,9 ათასი ლარი) და მემახტის ქუჩა N4a (5,6 ათასი ლარი).

სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავებს და გახარჯულია 88,3 ათასი ლარი, ადგილობრივი შემოსავლებიდან. მათ შორის ახოზაძის ქუჩა N1 (6,2 ათასი ლარი), ბრეგვაძის ქუჩა N10 (6,6 ათასი ლარი), ბრეგვაძის ქუჩა N9(8,3 ათასი ლარი), გამსახურდიას ქუჩა N16 (1,3 ათასი ლარი), გამსახურდიას ქუჩა N27 (2,0 ათასი ლარი, სარდაფში კანალიზაციის მილების შეცვლა), გამსახურდიას ქუჩა N23 (14,1 ათასი ლარი), გელათის ქუჩა N24 (1,6 ათასი ლარი), გორგიძის ქუჩა N3 (14,2 ათასი ლარი), გორგიძის ქუჩა N7 (13,5 ათასი ლარი), თბილისის ქუჩა N15 (3,3 ათასი ლარი), თბილისის ქუჩა N20 (7,1 ათასი ლარი), რუსთაველის ქუჩა N2 (6,6 ათასი ლარი) და კურსებში საცხოვრებელი ბინა N4 (3,5 ათასი ლარი).

2016 წელს მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების სახურავების შეკეთებაზე ხელშეკრულება გაფორმებული იყო ი.მ „სტანისლავ ბულიგინთან“. ვინაიდან დარღვეული იქნა ვადები და მეწარმემ ვერ შეასრულა ხელშეკრულების პირობები, გადაიხადა ჯარიმის სახით 3,4 ათასი ლარი და სამუშაოები დაასრულა 2017 წელს და დაფინანსებამ შეადგინა 37,6 ათასი ლარი. ხარჯვა განხორციელდა საკუთარი შემოსავლებიდან.

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის გახარჯულია 431,4 ათასი ლარი. მათ შორის 65,3 ათასი ლარით მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის N1213 განკარგულებიდან რუსთაველის ქუჩაზე (17,5 ათასი ლარი), გაბრიადის ქუჩაზე (8,4 ათასი ლარი), გელათის ქუჩაზე (14,3 ათასი ლარი) და სოფ ორპირში (14,3 ათასი ლარი) შესრულდა ნაპირსამაგრი სამუშაოები. ჭავჭავაძის ქუჩაზე მოეწყო საყრდენი კედელი (7,7 ათასი ლარი) და მერკვილაძის ქუჩაზე მოეწყო სანიაღვრე არხი (3,1 ათასი ლარი).

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 07 ივლისის N1340 განკარგულებიდან გახარჯულია 353,5 ათასი ლარი,საყრდენი კედლების მოწყობის მიზნით. მათ შორის ბერეკაშვილის ქუჩაზე

16,7 ათასი ლარი, მერკვილაძის ქუჩაზე 15,6 ათასი ლარი, ფიროსმანის ქუჩაზე 9,2 ათასი ლარი, გამსახურდიას ქუჩაზე 134,0 ათასი ლარი, გამსახურდიას ქუჩაზე საცურაო აუზის მიმდებარედ მდინარე „ტყიბულა“ს საყრდენი კედლისა და მოაჯირის მოწყობა 18,2 ათასი ლარი, სააკაძის ქუჩაზე 41,8 ათასი ლარი, ქასრაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხი 7,9 ათასი ლარი, ოკრიბის ქუჩაზე საყრდენი კედელი 22,9 ათასი ლარი, თაბუკაშვილის ქუჩაზე 60,8 ათასი ლარი. სოფელ კურსებში აბესაძეების უბანში საყრდენი კედელი ღირებულებით 26,5 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებიდან ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგისათვის გახარჯულია 1,3 ათასი ლარი.

საკუთარი შემოსავლებიდან 7,0 ათასი ლარით განხორციელდა რუსთაველის ქუჩაზე ღობის რეაბილიტაცია და 4,5 ათასი ლარი გაიხარჯა საყრდენი კედლების საპროექტო სამუშაოებისათვის და საზედამხედველო სამუშაოებისათვის.

სოფლის მხარდასაჭერი პროგრამების განსახორციელებლად წლიური გეგმით გათვალისწინებულია 108,3 ათასი ლარი. ფაქტიურად გაიხარჯა 62,1 ათასი ლარი. ხარჯვა განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N506 განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთიდან 1,5 ათასი ლარი, ხოლო 2016 წლის 19 თებერვლის N 265 განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთიდან - 60,6 ათასი ლარი.

შედეგად მივიღეთ გაუმჯობესებული სანიტარული პირობები, მოვლილი გაზონები და სკვერები, მოსახლეობის დასასვენებელი ადგილები, გამართული ინფრასტრუქტურა. გაიზარდა გატანილი ნარჩენების რაოდენობა, რეაბილიტირებული გზებისა და წყლის სისტემების რაოდენობა, ექსპლუატაციაში არსებული სანათი წერტილების რაოდენობა.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის: ბაღის პერსონალის შრომის ანაზღაურებას, ბავშვთა კვებას, შენობების გათბობას, საახალწლო ღონისძიებებს და სხვა მიმდინარე ხარჯებს. ამ მიზნით წლიური გეგმით გათვალისწინებულია 1260,7 ათასი ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 1204,2 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 95,5%-ით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სუბსიდირების გეგმა შეადგენდა 828,7 ათას ლარს, ფაქტიურად გახარჯულია 818,1 ათასი ლარი. სკოლამდელი ობიექტების მოწყობა რეაბილიტაციის ფარგლებში დასრულდა ქ. ტყიბულში გორგიძის ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღის მშენებლობა. მშენებლობისათვის მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებით გამოყოფილი იყო 312,4 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით ემატება 44,6 ათასი ლარი. ფაქტიურად წლის განმავლობაში გახარჯულია 306,5 ათასი ლარი, ხოლო 26,3 ათასი ლარი თანადაფინანსების სახით ადგილობრივი შემოსავლებიდან. ადგილობრივი შემოსავლებიდან N1 საბავშვო ბაღისათვის 3,2 ათასი ლარით შეძენილია სამხარეულოს ჭურჭელი, 10,3 ათასი ლარით რბილი ინვენტარი, 36,3 ათასი ლარით მცირეფასიანი ინვენტარი (მაგიდები, სკამები და ნიჟარის სადგამი). 3,3 ათასი ლარი გადაერიცხა „ენერგოპროჯორჯიას“, ობიექტის ქსელთან მიერთების სამუშაოებისათვის.

შედეგად მივიღეთ გაუმჯობესებული და უსაფრთხო საადმინისტრაციო გარემო, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღები. გაუმჯობესდა ბაგა-ბაღების პერსონალის შრომის პირობები, გაიზარდა აღსაზრდელოთა რაოდენობა და რაც მთავარია ბავშვები სრულყოფილად მოემზადებიან სკოლისათვის.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. მუნიციპალიტეტი აგრძელებს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. გაიზარდოს ფუნქციონირებადი სპორტული ობიექტები და ადგილობრივ სპორტსმენტა მიღწევები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 1490,3 ათასი ლარი, გახარჯულია 1267,2 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 85,0%-ით. მათ შორის სპორტული ობიექტების სუბსიდირებისთვის გახარჯულია 461,1 ათასი ლარი; 38,9 ათასი ლარი გახარჯულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 დეკემბრის N2522 განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთიდან, სტიქიით დაზიანებული მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სახურავის შესაკეთებელი მასალების შესაძენად. 73,8 ათასი ლარით შეძენილია სპორტული ინვენტარი სპორტის სასახლისათვის.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N483 განკარგულების საფუძველზე თავისუფალი ნაშთი (2013 წლის 04 აპრილის N311 განკარგულებიდან 44,7 ათასი ლარი, 2014 წლის 13 იანვრის N34 განკარგულებიდან 19,8 ათასი ლარი და 2015 წლის 20 იანვრის N39 განკარგულებიდან 21,5 ათასი ლარი) 86,0 ათასი ლარის ოდენობით, მიმართული იქნა შპს საფეხბურთო კლუბ „მეშახტის“ საწვრთნელ ბაზაზე არსებული სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. გახარჯულია 75,6 ათასი ლარი. გარდა ამისა სტადიონისათვის ადგილობრივი სახსრებით შეძენილია 6,2 ათასი ლარის ღირებულების პლასტმასის სკამები.

კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად გეგმით გათვალისწინებული იყო 564,7 ათასი ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 560,1 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 99,2%-ით.

საინფორმაციო ცენტრის სუბსიდირებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 32,0 ათასი ლარი. დაფინანსება მიღებული აქვს სრულად.

ტურიზმის განვითარების ცენტრის სუბსიდირებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 20,5 ათასი ლარი, გახარჯულია სრულად.

ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსების მიზნით გეგმით გათვალისწინებული იყო 63,8 ათასი ლარი. გახარჯულია სრულად. დაფინანსება განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან.

სოციალური პროგრამები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით წლიური დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 381,1 ათასი ლარი. ფაქტიურად გახარჯულია 375,3 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 98,5%-ით. მათ შორის ინდივიდუალური დახმარების პროგრამით გაიხარჯა 204,5 ათასი ლარი, აღნიშნული პროგრამიდან დაფინანსდა დიალიზზე მქოფი მოქალაქეები, ონკოლოგიური დაავადების მქონე მოქალაქეები, ეპილეფსიით, პარკისონიზმით დაავადებული მოქალაქეები, უსინათლოები, შშმ პირები (1-18 წლამდე), გადაუდებელი სტაციონალური სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება (0-5 წლამდე და ასაკის პენსიონრებზე), სამედიცინო მომსახურების ნაწილობრივი ანაზღაურება, ახალშობილთა ოჯახების დახმარების მიზნით გაიხარჯა 36,3 ათასი ლარი, სარიტუალო მომსახურება გაეწია გარდაცვლილი ომის მონაწილეებისა და იძულებით გადაადგილებული პირის ოჯახს და გაიხარჯა 1,2 ათასი ლარი, სტიქიითა და ხანძრით დაზარალებულ ოჯახების დახმარების პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 58,0 ათასი ლარი, უმწეოთა უფასო კვებისათვის გახარჯულია 61,5 ათასი ლარი. 7,3 ათასი ლარით დახმარება გაეწია სამამულო ომის ვეტერანებს დასაქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულთა ოჯახებს. ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრს ჩაერიცხა 6,5 ათასი ლარი.

ყოველივე ამის შედეგად გაუმჯობესდა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. გაიზარდა პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა.

სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფა ხორციელდება მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან წლის განმავლობაში გაიხარჯა 20,8 ათასი ლარი. აქედან ინდივიდუალური დახმარების პროგრამით 17,3 ათასი ლარი, ხოლო სტიქიითა და ხანძრით დაზარალებულთა დახმარების პროგრამით 3,0 ათასი ლარი. 0,5 ათასი ლარი გადაეცა დამსახურებულ მეშახტეს სოსიკო ქიმუცაძეს.